პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ პარასკევი 10 მარტი 1978 წ. □ № 58 (17102) □ ფასი 2 კაპ.



ბ. ლომბიძის ნახატი.

კიდევ უფრო მაღლა — შეჯიბრების დროშა!

საბჭოთა საქართველოში შრომის ზეიმი. დედაქალაქი. სადღესასწაულოდ მორთული ძეგრფასი სტუმრების დასახვედრად. შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებს თან მოუტანიათ თანამომძმეთა ნობათები, მხურვალე გულისფეთქვა და შეგრძნება — დღეს იმუშაონ გუშინდელზე უკეთ, ხვალ კი დღევანდელზე უკეთ, და ახე იღვწოდნენ დევიზით: ყოველი დღე, ყოველი საათი — დამკვრელური!

ამ ერთი თვის წინათ გამოქვეყნებულმა ხასიხარულო ცნობამ, რომ საქართველო შვიდ ხხვა მოკავშირე რესპუბლიკასთან ერთად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გარდამავალი წითელი დროშით დააჯილდოვეს. ახალი ძალა და ენერგია შემატა რესპუბლიკის მშრომელებს, ყველა შრომითს კოლექტივს მეათე ხუთწლედის დავალებათა შესახრულებლად ბრძოლაში.

დღეს ამ სახელოვანი დროშის საზეიმო გადაცემას ეძღვნება რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

ხაამაყოა იმის შეგნება, რომ ხახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, ბოლო წლების მანძილზე, ეს მეხუთედ ჭიოდოდება რესპუბლიკა გარდამავალი წითელი დროშით. წლევანდელი ჭილდო — წლევანდელი წითელი დროშა განსაკუთრებულია, იგი მოპოვებულია იმ დიდ წელს გაწეული თავდადებული შრომისათვის, რომელიც ისტორიაში შევიდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ხაიუბილეო, ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონს — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წელად. ამ ორმა ისტორიულმა მოვლენამ მეათე ხუთწლიდის დავალებათა შესახრულებლად თავდადებული შრომისათვის დარაზმა ხაქართველოს მშრომელები კომუნიზმის მშენებელ მთელ ხაბჭოთა ხალხთან ერთად.

სკკპ XXV ყრილობისა და ხაქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ხაბრძოლო პროგრამების განხორციელების გზაზე მიღწეული წარმატებებისათვის ეს ხახელოვანი ჭილდო — ეს მეხუთე გარდამავალი წითელი დროშა იმითაც არის განსაკუთრებული, რომ მას რუსუბლიკა იბარებს მეტად ღირსხახსოვარ წელს, მეათე ხუთწლედის შესაბამ — ხარისხისა და ეფექტიანობის წელს.

დროშა, დღეს საზეიმო ვითარებაში რესპუბლიკას რომ გადაეცემა, სიმბოლოა გამარჯვებისა, ხაკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მიღწევისა, წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისა; ეს დროშა გამოხატავს იმ დიდ გამარჯვებას, რომელიც რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს დასახული მიზნის მიხაღწევად ფიზიკური და გონებრივი ძალების კონცენტრირებით, თავდადებული, შემოქმედებითი მუშაობის შედეგად, ეს დროშა იმ კურსის გამარჯვებაა, ხაქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის ყველა პარტიული ორგანიზაცია რომ ადგანან მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების, სოციალისტური კანონიერების, ხახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებაში; ეს დროშა გამოხატავს 1977 წლის ხახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გაწეულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მთლიანად ხაქართველოს სს რესპუბლიკის ზედიზედ მეხუთე გამარჯვებას; სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების დროშა იფრიალებს აჭარის ახს რესპუბლიკაში, ქალაქებში — თბილისსა და ქუთაისში, ახაშენ, მახარაძის, თერჯოლის რაიონებში. რესპუბლიკის მრავალი ქალაქისა და სოფლის შრომითი კოლექტივი, გარდა ამისა, რომ გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოდა, შეტანილია აგრეთვე სსრ კავშირის ხახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ხაბატიო დიპლომებზე; ამ დროშით გამოხატულია რესპუბლიკის მიღწევებში ქართველი მეავტომობილეებისა და მეტალურგების, მშენებლებისა და რკინიგზელების, მეფრინველეებისა და მჭყოველების, მეცალრუხეებისა და მეხილეების დიდი ჭვლილი. ეს დროშა გამოხატავს რეკორდებს, რომლებსაც ხაქართველოს მეჩაიეებმა და მეხილეებმა მიაღწიეს, ეს არის მეგობრულნობაში, მეკარტოფილეობაში, მეეარხლეობაში, მარცვლეულის, ეთერზეთოვანთა კულტურების მოყვანაში, ხორცის, რძის, კვერცხის, მეცხოველეობის დიდძალი ხხვა პროდუქციის ხახელმწიფოსათვის მიყიდვაში მიღწეული მაჩვენებლები. ამასთან ეს დროშა იმის შთამაგონებელიც არის, რომ განუხრელად ვახორციელებდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ხიტყვის დასკვნებსა და დებულებებში მოცემულ ბრძნულ მითითებებს.

დღევანდელ ზეიმს — გამარჯვებული რესპუბლიკისათვის ამ რიგით მეხუთე გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას წინ უძღოდა ხაქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის, შშრომელებისათვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა — ხაქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმი, რომელმაც განიხილა „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სამეურნეოთათვის შორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სახოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ღონისძიებანი, რომელიც ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინამორბედ VIII პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან მჭიდრო კავშირით ჩვენს რესპუბლიკაში ხაზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ჩვენი შემდგომი ეკონომიკური ზრდის გზებისა და რეზერვების განსაზღვრას.

დღევანდელ დღეს — ხაქართველოსათვის ამ, რიგით მეხუთე, გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას ზეიმად რომ ვთვლით, ამასთან იგი მიგვაჩნია რესპუბლიკის პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, მთელი შშრომელი ხალხის ჭეშმარიტად ხაბრძოლო და შრომითი დარაზმვის ნათელ დემონსტრაციად. ამ ზეიმზე, კვლავ მოგვახდება გონების თვალი გადავვლოთ დღევანდელ გამარჯვებამდე განვლილ წლიურ გზას, ღრმად და კრიტიკულად, ხაქმიანად გავაანალიზოთ ეს გზა, ავწონ-დაწონოთ ჩვენი რეზერვები და გავწიოთ კვლავ წინ ამ პროგრამებით, რომლებსაც გვისახავენ სკკპ XXV ყრილობა, ხაქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმები.

სოციალისტურ შეჯიბრებას, ამ დიდ ხაყოველთაო-სახალხო მოძრაობას სათავეში უნდა ედგნენ პარტიული ორგანიზაციები, წინ უძღოდნენ და ჯეროვნად წარმართავდნენ კომუნისტები. მაშინ ხაქართველოს შშრომელები გაანადგურებენ და უნდა გაანადგონ კიდეც სოციალისტური ვალდებულებები, 1978 წლის 17 იანვარს რესუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე რომ იყო განხილული და მიღებული.

პარტიულ, ხაბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს მართით ღრმად გააანალიზონ 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის გაწეული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. დასაზონ და განახორციელონ მუშაობის ხელშემშლელი მიზეზების აღმოფხვრის ღონისძიებანი; ამასთან ერთად არსად, მუშაობის არც ერთ უბანზე წუთითაც არ უნდა ვანელებდეთ პრინციპულ, თანამიმდევრულ ბრძოლას ნეგატიურ მოვლენებთან და მათს მაგარებლებთან, როგორც ამას გვასწავლის ხაქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII და IX პლენუმების გადაწყვეტილებები.

ერთხელ კიდევ მოგილოცავთ, ძვირფასნო ამხანაგებო, ღირსეულ ჯილდოს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის ბაირაღთან ერთად ხაქართველოს! კიდევ უფრო მაღლა აფრიალოთ სოციალისტური შეჯიბრების ეს დროშა, და მედგრად ვიაროთ წინ, ახალ-ახალი წარმატებებისაკენ!

შრომის ზეიმი

დღეს თბილისში საქართველოს ხახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, გაიმართება პარტიულ-სამეურნეო აქტივის რესპუბლიკური კრება, რომელიც ეძღვნება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას.

მხურვალე სალამი სოციალისტური შრომის მოწინავეებს!

მოგილოცავთ ამ დიდ ჯილდოს!

საქართველოს კომკავშირს — სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკური კომკავშირული ორგანიზაცია ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში 1977 წელს მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოვდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ლენინური კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა მთელ ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვის სკკპ XXV ყრილობაზე წამოყენებული ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დიადი პროგრამის განხორციელებისათვის. კომკავშირის მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მიზნად ისახავს ახალგაზრდობის ჩამოუყალიბოს მაღალი იდეურობა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, დარაზმოს იგი მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის.

ყოველი კომკავშირული ორგანიზაციის ხაქმიანობის პროგრამად იქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებული ამოცანები, 1978 წელს საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი. კომკავშირელები, ქალაშვილები და ჭაბუკები საქმით უასახუხებენ პარტიის მოწოდებას „დღეს ვიმუშაოთ გუშინდელზე უკეთ, ხვალ დღევანდელზე უკეთ“. ისინი ისწრაფვიან შეინარჩუნონ და განამტკიცონ საიუბილეო შეჯიბრების შემართება და რიტმი, უფრო ფართოდ ახალებენ პატრიოტულ მოძრაობას „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდობის ენთუზიაზმი და შემოქმედება!“ ღირსეულად ემზადებიან სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის, ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავის შეხახვედრად.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განიხილა 1977 წელს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის რესპუბლიკური, სამხარეო და ხოლქო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის დათვალიერების შედეგები და ხუთი მოკავშირე რესპუბლიკის — უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად „ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მოპოვებული წარმატებებისათვის“ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა ზედიზედ მეორეჯერ მიენიჭა ხაქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციას.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა კომკავშირულ ორგანიზაციებს, ყველა ქალოშვილსა და ჭაბუკს მოუწოდა მთელი თავიანთი ძალ-ღონე და ცოდნა, ენთუზიაზმი და შემოქმედებითი ინიციატივა მოიმარონ კომუნისტური შშენებლობის გეგმების წარმატებით განხორციელებას, მიაღწიონ ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობას, სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობა, ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავი აღნიშნონ ახალი წარმატებებით სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შესრულებაში.

(საქინფორმი).

„სალუტ-6“—„სოიუზ-27“—„სოიუზ-28“:

ორბიტაზე დასვენების დღეა

ფრუნზეს მართვის ცენტრი, 8 მარტი. (საკგესი). „სალუტ-6“-„სოიუზ-27“-„სოიუზ-28“ პილოტირებული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსი განაგრძობს ორბიტულ ფრენას. ტრაექტორიული გაზომვის მონაცემებით, კომპლექსის ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 357 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 338 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი 91,3 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

დღეს იური რომანენკოს, გეორგი გრეჩკოს, ალექსი გუბარევსა და ვლადიმერ რემეკს აქტიური დასვენების დღე აქვთ. კოსმონავტებს ხისტემაში მოპყავთ ექსპერიმენტების შედეგები, ასრულებენ ფიზიკურ ვარჯიშს კომპლექსურტრენაჟერსა და ველოერგომეტრზე, ალაგებენ ხამუშაო ნაკვეთურებს, ამზადებენ კვლევის მასალასა და კორესპონდენციას დედამიწაზე გამოსაგზავნად. ორბიტულ კომპლექსში ტრანსლაციით იღებენ რადიოგადაცემებს, უსმენენ მუსიკას.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და ეკიპაჟის მოხსენებათა თანახმად, კომპლექსის საბორტო ხისტემები ნორმალურად მუშაობს, სამუშაო ნაკვეთურების მიკროკლიმატის პარამეტრები დედამიწისას უახლოვდება. ამხანაგები რომანენკო, გრეჩკო, გუბარევი და რემეკი თავს კარგად გრძნობენ. ორბიტული კომპლექსი „სალუტ-6“-„სოიუზ-27“-„სოიუზ-28“ ფრენას განაგრძობს.

ფრენა პროგრამით

ფრუნზეს მართვის ცენტრი, 9 მარტი. (საკგესი). „სალუტ-6“ — „სოიუზ-27“ — „სოიუზ-28“ ორბიტული სამეცნიერო-საკვლევ კომპლექსში მეექვსე დღეა მუშაობს ხაერთაშორისო ეკიპაჟი.

დღევანდელი პროგრამით, რომელიც დილის 8 საათზე დაიწყო, კოსმონავტები იური რომანენკო, გეორგი გრეჩკო, ალექსი გუბარევი და ვლადიმერ რემეკი ამთავრებენ ერთობლივ მეცნიერულ-ტექნიკურ კვლევასა და ექსპერიმენტებს.

ხაუბრისა და სამედიცინო კონტროლის შემდეგ, გაგრძელდა „სოიუზ-28“ კოსმოსური ხომალდის დამიზნაწილ დაბრუნებისათვის მომზადების ოპერაციები. კოსმონავტები რთავენ და ამოწმებენ ხაბორტო ხისტემებსა და ძრავის დანადგარს, გადაავლენ და დასაზეებ აპარატში აწყობენ კვლევის მასალებს, ხოლო ხაყოფაცხოვრებო ნაკვეთურში — ნახმარ მოწყობილობას.

ეკიპაჟის ხამუშაო დღის პროგრამაში შედის გაზის გარემოს შედეგნილობის შეცვლის დინამიკის შესწავლისა და კომპლექსის ხათავსებში მიკროფლორის რაოდენობრივი და ხეროპრიი შემადგენლობის კვლევის ექსპერიმენტები, აგრეთვე ფიზიკური ვარჯიშები და ხატელევიზიო რეპორტაჟები.

ეკიპაჟის მოხსენებების თანახმად, „ხალუტ-6“ — „სოიუზ-27“ — „სოიუზ-28“ ორბიტული კომპლექსის ხაბორტო ხისტემები ნორმალურად მუშაობს. ამხანაგები რომანენკო, გრეჩკო, ბუბარევი და რემეკი თავს კარგად გრძნობენ.

ვიზიტად მოსკოვში

9 მარტს მოსკოვში ხამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა მაროკოს პრემიერ-მინისტრი ა.ბენედ ოსმანი.

აეროდრომზე ა. ოსმანს დაბვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. გ. არხიპოვი, სსრ კავშირის მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი.

სსრ კავშირის მთავრობამ სადილი გაუმართა მაროკოს პრემიერ-მინისტრს ა. ოსმანს.

ა. ოსმანთან ერთად იყვნენ მოხი თანმხლები პირნი.

სადილზე იყვნენ ამხანაგები ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, მ. ხ. სოლომენცევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილის დროს ა. ნ. კოსიგინმა და ა. ოსმანმა სიტყვები წარმოთქვეს, რომლებსაც დამსწრენი ტაშით შეხვდნენ. სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(ტასკედესი).

ზუბინ საქართველოს დედაქალაქ თბილისში რესპუბლიკის ყველა ქალაქიდან და რაიონიდან ჩამოვიდნენ ხახელოვანი მუშათა კლასისა და ხოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, ისინი ვინც მკლავმოუღლელად შრომობდა და სჯედავდა იმ გამარჯვებას, რომელიც მოიპოვეს საქართველოს შშრომელებმა ხაკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეათე ხუთწლედის მეორე ხაიუბილეო წელს.

დღეს ისინი მონაწილეობას მიიღებენ პარტიულ-ხამეურნეო აქტივის რესპუბლიკური კრების მუშაობაში, სადაც ხაზეიმო ვითარებაში ჩვენ რესპუბლიკას მეხუთედ გადაეცემა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ხუთასეული: აქტივის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): ქუთაისის ავტოქარხნის მძღოლი-გამომცდელი, სოციალისტური შრომის გმირი, ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს დეპუტატი ბ. ვაშაკიძე, ახმეტის რაიონის მევენახეობის სანერგე ხაბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი შ. ბაირამაშვილი, ახალციხის რაიონის ხოფელ ვალეს კოლმეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. ჯანაშვილი, ტყვარჩელის ლაკობის ხახელობის შახტის სამთომუშა სოციალისტური შრომის გმირი, ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს დეპუტატი ლ. ტუეზეშაკვა, ჭიათურის რაიონის ხოფელ ზოდის კოლმეურნეობის მექანიზატორი ვ. უაველაშვილი, გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის ხაბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი ხაბჭოს დეპუტატი ნ. ხასაია, თბილისის ფოლად-თუჯჩამომხმელი ქარხნის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს დეპუტატი ბ. კუტრანინაძე, ბოლნისის რაიონის მევენახეობის ხაბჭოთა მეურნეობის უბნის უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ჟიფიანი, გუდაუთის რაიონის დურიფშის კოლმეურნეობის მეჩაიე, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი ხაბჭოს დეპუტატი ნ. სპასენია, ცხინვალის რაიონის ხოფელ დმენისის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ხუბაკაევი, ბათუმის ხამკერვალო გაერთიანების ხაამქროს ბრიგადირი ც. დოლიძე, ცაგერის რაიონის ხოფელ დეხვრის კოლმეურნეობის მესიმინდე ი. აბაშელიანი, ჩოხატაურის რაიონის ხოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობის მეჩაიე, ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს დეპუტატი თ. ოსეფაიშვილი, წოლეწყაროს რაიონის ხოფელ გამარჯვების კოლმეურნეობის მევენახე ი. ფირმასაშვილი, გურჯაანის რაიონის ხოფელ ველისციხის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი ხაბჭოს დეპუტატი მ. მეძველრიშვილი.

ვლ. ბინხშერგის ფოტო.

დიდება, სამშობლოვ!

დამკვრელურ წელიწადს — დამკვრელური შრომა

ლაპარაკობენ შრომის ზმირები

ასე ვჭედავდით გამარჯვებას

დღეს დიდი ზეიმია საბჭოთა საქართველოს დედაქალაქ თბილისში. ეს ზეიმი გამარჯვ ადამიანის შრომით არის მოპოვებული. ჩვენ ვამაყობთ, რომ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის თავდადებული ბრძოლა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის გახდა საიუბილეო წლის შეიძენების მიზეზით ღირსეულად იქნა შეფასებული. დღეს ჩვენს რესპუბლიკას ზედიზედ მეხუთედ გადაეცემა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ეს ფაქტი აღვავფრთოვანებს და სიამაყით აღვავსებს. არ შეიძლება კაცს არ ახარებდეს ის დიდი გამარჯვებები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა გასულ წელს მოიპოვეს. და ამ შრომისა და გარჯის ჯეროვანი დაფასება ხომ ისის გარანტიას იძლევა, რომ ჩვენი მკლავმოუღლელი ადამიანები კვლავაც თავს არ დაზოგავენ პარტიისა და მთავრობის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

ეს დიდი წარმატებები, თვალსაჩინო მიღწევები აშკარად მოწმობს, რომ მათი მოპოვება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმ დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად, რომელსაც ახორციელებენ დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ხუთწლედის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის მშრომელთა დასარაზმავად.

ყოველდღიურად, ყოველთვიურად იზრდება საზოგადოებრივი წარმოების ტემპი, მაღლდება ეფექტიანობა. მარტო იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ 1977 წელს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მატების ტემპმა 1975 წელთან შედარებით 8,4 პროცენტი შეადგინა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ 6,9 პროცენტთან შედარებით, ხოლო მრეწველობის მთლიანი პროდუქცია ამავე პერიოდში 11,7 პროცენტით გაიზარდა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ 10,8 პროცენტთან შედარებით. ასევე საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 13,7 პროცენტით. დიდია ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის მიერ მოპოვებული წარმატებებიც.

როცა ვჯამებთ მარშანდელ მაჩვენებლებს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის მნიშვნელოვანი მომენტები, რომლებითაც აღსავსე იყო 1977 წელი. უპირველეს ყოვლისა კი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებამ და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავმა ამ წელს ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. საბჭოთა ხალხს, ჩვენი ხაზოვადოებრივი ცხოვრების ამ ორმა მნიშვნელოვანმა ფაქტმა გამოიწვია სწორედ მშრომელი მასების ესოდენ დიდი ენთუზიაზმი და შემოქმედებითი აღტყინება. დიდი ოქტომბრის საიუბილეო ვახტები, რევოლუციის გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი შრომითი ნობათები ნათლად მეტყველებდა ხალხთა ძმობის ადამიანთა გენეტიკურ ერთიანობაზე, დიდი რევოლუციური ტრადიციების მემკვიდრეობითობაზე. ამით არის საგულისხმო ჩვენთვის — პარტიის ვეტერანებისათვის გასულ წელს რესპუბლიკის მშრომელების მიერ მიღწეული წარმატებები. შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ — საქმე, რომლისთვისაც ვიბრძოდით, იმარჯვებს და ვითარდება.

რესპუბლიკის წინაშე ახლა მეტად საპატიო და პასუხსაგები ამოცანები დგას. დიდი ჯილდო გვაკისრებს არ დავიმოთ მიღწეული პოზიციები, მეტი შემართებით და ენერგიით ვიბრძოლოთ ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესასრულებლად. ამისათვის განუზრელად უნდა ვახორციელებდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. პარტიის ვეტერანებს, ლენინური გვარდიის უფროსი თაობის წარმომადგენლებს საპატიო მოვალეობად მიაჩნიათ კვლავაც იყვნენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ავანგარდში, თავიანთი ადგილი დაიკავიდრონ საყოველთაო-სახალხო საქმიანობაში.

შარშან შესანიშნავი პრაქტიკა დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში. პარტიის ძველი წევრები, ვეტერანები ხვდებოდნენ სახელოვანი შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებს, შთაგონებდნენ და მოუწოდებდნენ პარტიის დიადი საქმისათვის თავდადებას. მრავალი მათგანი აქვეყნებდა სტატიებს პრესაში, გამოდიოდა რადიოთი და ტელევიზიით.

ასეთი მჭიდრო ურთიერთობა და სიახლოვე მასებთან, მშრომელ ადამიანებთან მეტ სიცხადეს მატებდა საერთო მიზანს, სწორი კალაპოტით წარმართავდა ჩვენს მოღვაწეობას.

ეს ჩვენი აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია კვლავაც ღირსეულ ადგილს დაიკავებს ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა ხორცშესხმისათვის ბრძოლაში.

ეს იქნება ჩვენი მადლობაც და სიტყვაც რესპუბლიკის მშრომელთა საქმიანობის ესოდენ დაფასებისათვის.

მ. ჯაში,
სკკპ წევრი 1921 წლიდან, პარტიის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია

ჩვენს რესპუბლიკას მეხუთედ მიეკუთვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ეს ფაქტი აღვავფრთოვანებს და სიამაყით აღვავსებს. არ შეიძლება კაცს არ ახარებდეს ის დიდი გამარჯვებები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა გასულ წელს მოიპოვეს. და ამ შრომისა და გარჯის ჯეროვანი დაფასება ხომ ისის გარანტიას იძლევა, რომ ჩვენი მკლავმოუღლელი ადამიანები კვლავაც თავს არ დაზოგავენ პარტიისა და მთავრობის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

ეს დიდი წარმატებები, თვალსაჩინო მიღწევები აშკარად მოწმობს, რომ მათი მოპოვება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმ დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად, რომელსაც ახორციელებენ დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ხუთწლედის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის მშრომელთა დასარაზმავად.

ყოველდღიურად, ყოველთვიურად იზრდება საზოგადოებრივი წარმოების ტემპი, მაღლდება ეფექტიანობა. მარტო იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ 1977 წელს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მატების ტემპმა 1975 წელთან შედარებით 8,4 პროცენტი შეადგინა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ 6,9 პროცენტთან შედარებით, ხოლო მრეწველობის მთლიანი პროდუქცია ამავე პერიოდში 11,7 პროცენტით გაიზარდა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ 10,8 პროცენტთან შედარებით. ასევე საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 13,7 პროცენტით. დიდია ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის მიერ მოპოვებული წარმატებებიც.

როცა ვჯამებთ მარშანდელ მაჩვენებლებს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის მნიშვნელოვანი მომენტები, რომლებითაც აღსავსე იყო 1977 წელი. უპირველეს ყოვლისა კი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებამ და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავმა ამ წელს ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. საბჭოთა ხალხს, ჩვენი ხაზოვადოებრივი ცხოვრების ამ ორმა მნიშვნელოვანმა ფაქტმა გამოიწვია სწორედ მშრომელი მასების ესოდენ დიდი ენთუზიაზმი და შემოქმედებითი აღტყინება. დიდი ოქტომბრის საიუბილეო ვახტები, რევოლუციის გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი შრომითი ნობათები ნათლად მეტყველებდა ხალხთა ძმობის ადამიანთა გენეტიკურ ერთიანობაზე, დიდი რევოლუციური ტრადიციების მემკვიდრეობითობაზე. ამით არის საგულისხმო ჩვენთვის — პარტიის ვეტერანებისათვის გასულ წელს რესპუბლიკის მშრომელების მიერ მიღწეული წარმატებები. შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ — საქმე, რომლისთვისაც ვიბრძოდით, იმარჯვებს და ვითარდება.

რესპუბლიკის წინაშე ახლა მეტად საპატიო და პასუხსაგები ამოცანები დგას. დიდი ჯილდო გვაკისრებს არ დავიმოთ მიღწეული პოზიციები, მეტი შემართებით და ენერგიით ვიბრძოლოთ ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესასრულებლად. ამისათვის განუზრელად უნდა ვახორციელებდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. პარტიის ვეტერანებს, ლენინური გვარდიის უფროსი თაობის წარმომადგენლებს საპატიო მოვალეობად მიაჩნიათ კვლავაც იყვნენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ავანგარდში, თავიანთი ადგილი დაიკავიდრონ საყოველთაო-სახალხო საქმიანობაში.

შარშან შესანიშნავი პრაქტიკა დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში. პარტიის ძველი წევრები, ვეტერანები ხვდებოდნენ სახელოვანი შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებს, შთაგონებდნენ და მოუწოდებდნენ პარტიის დიადი საქმისათვის თავდადებას. მრავალი მათგანი აქვეყნებდა სტატიებს პრესაში, გამოდიოდა რადიოთი და ტელევიზიით.

ასეთი მჭიდრო ურთიერთობა და სიახლოვე მასებთან, მშრომელ ადამიანებთან მეტ სიცხადეს მატებდა საერთო მიზანს, სწორი კალაპოტით წარმართავდა ჩვენს მოღვაწეობას.

ეს ჩვენი აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია კვლავაც ღირსეულ ადგილს დაიკავებს ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა ხორცშესხმისათვის ბრძოლაში.

ეს იქნება ჩვენი მადლობაც და სიტყვაც რესპუბლიკის მშრომელთა საქმიანობის ესოდენ დაფასებისათვის.

მ. ჯაში,
სკკპ წევრი 1921 წლიდან, პარტიის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲒᲘᲡ ᲬᲔᲚᲘ

● **მარტს** მეათე ხუთწლედის მეორე, ხაუთბლეო წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში წარმოებულმა ეროვნულმა შემოსავალმა 6 მილიარდ 258 მილიონი მანეთი შეადგინა. ეს თანხა 514 მილიონით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს და 1965 წლის დონესთან შედარებით თითქმის 2,5-ჯერ მეტია.

● **შარშან** ჩვენმა რესპუბლიკამ ჩვენს ქვეყანაში კვლავ ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა ხამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების მიხედვით. ზეგეგმითი პროდუქციის მოცულობამ 197 მილიონ მანეთს მიაღწია.

● **უმაღლესი** კატეგორიის ხარისხის პროდუქციის გამოშვება ორჯერ გაიზარდა. წლის დამლეგისათვის ხარისხის სახელმწიფო ნიშანი ჰქონდა 714 ნაწარმს. ათვისებულია და დაიწყო 85 დასახელების ახალი სახეობათა ხამრეწველო პროდუქციის სერიული გამოშვება.

● **დიდი** წარმატება მოიპოვეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მეჩაიეებმა მოკრიფეს 412,1 ათასი ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, ანუ 56 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1976 წელს. შარშან 1976 წელთან შედარებით მოიკრიფა 75 ათასი ტონით მეტი ხილი და 136 ათასი ტონით მეტი ყურძენი.

● **შარშან** სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობამ ორ მილიარდ მანეთს მიაღწია და 1976 წელთან შედარებით 300 მილიონი მანეთით გაიზარდა.

● **ფართო** გასაქანი მიეცა კაპიტალურ მშენებლობას. მისი ხარჯთა მოცულობა ერთი მილიარდ 560 მილიონ მანეთს გაუთანაბრდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მარტო ერთ წელიწადში იგი 200 მილიონი მანეთით გაიზარდა.

● **მოსახლეობის** რეალური შემოსავლის ზრდასთან ერთად განუხრელად გაფართოვდა ხალხის ხაქონელმრუნვა. შარშან რესპუბლიკის მოსახლეობას მიეყიდა 3 მილიარდ 527 მილიონი მანეთის ხამრეწველო და სასურსათო საქონელი.

● **რესპუბლიკის** მოსახლეობისათვის გაწეული ხაყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა 7,6 პროცენტით გადიდდა, აქედან მარტო სოფლად — 15,3 პროცენტით.

საზეიმოდ არის მორთული რუსთაველის პროსპექტი, ხადაც გამოფენილია ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანების პორტრეტები. ამ სურათზე თქვენ ხედავთ სოციალისტური შრომის გმირს ო. ლომაძეს.

ხ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ფოტო.

მამულის დროშები

ნოდარ გურეშიძე

მიდამოს ედება
მძლავრი ჟრიამული,
ეს გაზაფხულია —
ბუნების ქორწილი.
ლაღად ფრიალებენ
დროშები მამულის,
გამარჯვებებით
და
დიდებით მოსილი.
გახედეთ
სამშობლოს
აზიდულ მწვერვალებს,
ვაზის ყვავილებს თუ
ჯეჯილის ფარჩას,
დღეს უფრო,
დღეს უფრო,
დღეს უფრო ელვარებს
მეზვრის თუ მშენებლის
შრომა და გარჯა.
მამულო,
ო, ჩვენო სიცოცხლევ, მამულო,
ხარ ჩვენი სინათლე,
ჩვენი საფიცარი,
ხან თოვლო,
ხან სეტყვავ,
ხან ცხელო ალმურო,
შენს მცველად,
მშენებლად,
შენს მუშად გვიცანი.
მედროშედ გვიცანი.
და ჩვენს სიყვარულში
ფიქრად არ გაივლო
ეჭვიც კი მცირედი,
ამ დიად შეჯიბრში,
ამ შრომის ალმურში,
შენ გქონდეს,
შენ გქონდეს
შვილების იმედი.
ღიმილიც ბევრია,
ხალისიც ბევრია,
და მაინც,
და მაინც,
მეტი გვაქვს მიზანი,
კვლავ დაიზრდებიან,
კვლავ დაიზრდებიან,
კვლავ დაიზრდებიან ლეკვები
მგლისანი...
მზეს შუქმოკაშკაშეს,
ცას თვალებგახელილს
მოაქვს გაზაფხულის
ფერების ტალღა.
მაღლა ავიტანოთ
სამშობლოს სახელი,
მამულის დროშები —
მაღლა,
სულ მაღლა!

9 მარტი 1978.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ხალხს უთქვამს, დიდება და ხახელი შრომის ხელშია. ეს მართლაც ასეა და ის მეტად სასიხარულო და საამაყო ფაქტი, რომ ჩვენი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი „საქშახტმშენის“ მეშვიდე ტრესტი წლების განმავლობაში მოწინავეა არა მარტო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში, არამედ მთელს რესპუბლიკაშიც, სწორედ მისი კოლექტივის წევრების კეთილსინდისიერი, ინიციატივიანი მუშაობის შედეგია. უკანასკნელ ხანს ბევრჯერ დავიმსახურეთ საკავშირო თუ რესპუბლიკური მნიშვნელობის სხვადასხვა ჯილდო, გარდამავალი წითელი დროშები...

დიახ, ღვაწლის ღირსეული დაფასებით გამოწვეული კანონიერი სიამაყის ხასიხარულო გრძნობა ჩვენთვის უცხო არ არის.

შარშანდელი წლის გეგმა-ვალდებულებები ტრესტის კოლექტივმა ვადამდე 27 დეკემბრისათვის შეასრულა. სამინაო მშენებლობის გეგმა განაღდებულია 120 პროცენტით, ხოლო სასკოლო მშენებლობისა — 153 პროცენტით. საექსპლოატაციოდ გადაეცა სამინაო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული ყველა ობიექტი.

ამ წარმატებებში ტრესტის კოლექტივის თითოეულმა მუშაკმა შეიტანა პირადი წვლილი, მაგრამ გადამწყვეტი როლი უთუოდ მისმა ავანგარდმა, პარტიულმა ორგანიზაციამ, კომუნისტებმა შეასრულეს. ტრესტის დირექციისა და პარტბიუროს დავალებით შარშან, ისევე როგორც წინა წლებშიც, ყველა ასამოქმედებელ ობიექტზე მიმაგრებული იყვნენ კომუნისტები, რომლებიც ადგილებზე დიდ მუშაობას ეწეოდნენ ობიექტების დროული ჩაბარებისათვის. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ 32 ობიექტი მბოლოდ „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით ჩაბარდა.

მაგალითად, შარშან საბურთალოზე შეიქმნა ბიოთურის მანგანუმის მაღაროების მშენებლობის საქმეს. პარტბიუროს დავალებით ამ ობიექტზე გაიგზავნა ტრესტის განყოფილების უფროსი კომუნისტი ნ. ნიშაძე. მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით მშენებლებმა ამ მაღაროების მშენებლობის შარშანდელი გეგმა ვადამდე შეასრულეს, ხოლო წლევანდელი გეგმის განაღდება 7 ოქტომბრისათვის — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წლისთავისათვის აქვთ გადაწყვეტილი.

შარშან განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა მადნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობაზე. იქ გაიგზავნა ტრესტის მმართველის მოადგილე კომუნისტი ი. კალანდაძე. შარშანდელი გეგმით გათვალისწინებული ამ კომბინატის მესამე რიგის მშენებლობა წარმატებით დამთავრდა. სასკოლო მშენებლობის სამუშაოთა გეგმის წარმატებით შესრულებაში დიდია ტრესტის უფროსი ინჟინრის ბ. მეფარიშვილის როლი, რომელიც პარტიული ბიუროს დავალებით ამ საქმეს ხელმძღვანელობდა.

ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ამ კომუნისტების მხოლოდ ჩასვლით გაკეთდა ხაქმე ადგილებზე. არა, მათ საამისოო ნაყოფიერი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა გასწიეს, მუდამ მხარში ედგნენ მშენებლებს.

ᲫᲕᲔᲚᲘᲐ ამ აღტაცებასა და სიხარულის სიტყვით გამოხატავ, რომელსაც ახლა საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად თერჯოლელებიც განიცდიან.

დიახ, ეს დაუვიწყარი დღეებია ყველა ჩვენგანისათვის. მაგრამ თერჯოლელებს განსაკუთრებით სასიხარულო და ხაამაყო გვაქვს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ გასული წლის შედეგებისათვის მოგვაკუთვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ცხადია, ეს დიდი ჯილდო — წითელი დროშა გარდამავალია და ყოველივე ეს ჩვენ უფრო მეტს გვავალებს. ეს მოვალეობა კი ის არის, რომ ხუთწლედის მესამე წლის გეგმები და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი კვლავ წარმატებით შეგასრულოთ და ამით დავიმკვიდროთ საპატიო ადგილი მოწინავეთა შორის.

დღევანდელ საზეიმო დღეს ჩვენი სოფლის— სიქართველის შრომელებს თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ საერთო შრომის მიღწევებში საკუთარი წვლილი მიგვეძლოს. შარშან ჩვენი სოფლის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ყურძნის, ხილის, მეცხოველეობის პროდუქტების, ჩაის ფოთლის, აბრეშუმის პარკის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებები. ახალი წლიდან კი უფრო ენერგიულად გაგაჩაღეთ მუშაობა, დროულად დავამთავრეთ ჩაის პლანტაციების დამუშავება, ვენახებში შეტანილია სასუქები, მზრუნველობას არ ვაკლებთ ხორბლისა და ვშრიის ნათესებს, თვალყურს ვადევნებთ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს დროულ შესრულებას. ახლა კი ჩვენი სოფლის პარტიული ორგანიზაციის, ყველა მშრომელის მთავარი ამოცანა ის არის, რომ გავაჩაღოთ დიდი ბრძოლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის, რომლებიც უდიდეს პერსპექტივებს უსახავს ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებას.

მინდა ისიც ვთქვა, რომ ჩვენს სოფელში კარგად არის განვითარებული საკარმიდამო მეცხოველეობა. შარშან მოსახლეობამ 32 ტონა ხორცი მიჰყიდა სახელმწიფოს. რა თქმა უნდა, ეს დონე წელს აღარ დაგვაკმაყოფილებს. ისიც აღსანიშნავია, რომ სოფლად ყველა სასიკეთო ხაქმის წამომწყებნი და შემსრულებელნი კომუნისტებთან ერთად სახალხო საბჭოს დეპუტატები არიან. და ყოველივე ეს იმის შესანიშნავი გარანტიაა, რომ მეათე ხუთწლედის მესამე წლის დავალებები წარმატებით შესრულდება და ამით მნიშვნელოვან წვლილს შევიტანთ პარტიის XXV ყრილობის წინასწარდასახულობათა ხორცშესხმისათვის ბრძოლაში.

ნ. ᲕᲔᲠᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
თერჯოლის რაიონის სოფელ ხიქთარის სახალხო დეპუტატთა ხაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ



ᲛᲙᲔᲠᲓᲓᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ

როგორც გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის არის ცნობილი, 1977 წელს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის, მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოების ზრდისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში გამოჩენილი შრომითი მამაცობისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეებს — გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს ქ. ბურდიაშვილს, ხობის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შ. კემულარიას, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მეჯინისწყლის კოლმეურნეობის ბრიგადირს მ. მიქელაძეს და აფხაზეთის ახსრ გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს ხ. შონიას.

ᲯᲘᲚᲓᲝᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ

შრომაში მოპოვებული წარმატებისათვის ჯილდო ყოველთვის იყო და იქნება ახალი, უფრო მნიშვნელოვანი გამარჯვების სტიმული. მაგრამ გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც დღეს ჩვენს რესპუბლიკას საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ზედიზედ მეხუთედ გამარჯვებისათვის უნდა გადაეცეს, განსაკუთრებულ სიხარულს გვანიჭებს, ვინაიდან ეს საპატიო ჯილდო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის შემქმედებითი, თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანოების დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია.

სახალხო მეურნეობის სხვა დარგის მუშაკებთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების საქმეში ღირსეული წვლილი ჩვენც, სოფლის მშრომელებსაც მიგვიძღვის.

საიუბილეო წელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მეჩაიეთა წარმატება. მათ მოკრიფეს ის სახელმწიფოს მიჰყიდეს იმდენი ჩაის ფოთოლი, რამდენიც მეათე ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის იყო გათვალისწინებული. დიდი გამარჯვება მოიპოვეს ჩვენმა მეციტრუსეებმა, მეხილეებმა, მებოსტნეებმა, მეკარტოფილეებმა, მეეარხლეებმა, მეცხოველეებმა.

მიღწევები და დამსახურებული ჯილდო გვახარებს, მაგრამ ამასთან ნათლად ვხედავთ, რომ მთლიანად სოფლის მეურნეობაში მოპოვებული მაჩვენებლები ჯერ კიდევ არ შეესაბამება მშრომელთა მზარდ მოთხოვნილებებს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რეზერვი გვაქვს გამოსაყენებელი. ამ მხრივ მეტი საზრუნავი აქვთ მემანდარინეებსა და მევენახეებს, რომლებმაც შარშან ათასობით ტონა მარცვლეული და ყურძენი დაკარგეს სახელმწიფოს.

საპატიო ჯილდო უფრო დიდი ამოცანების შესასრულებლად გვარაზმავს სოფლის მეურნეობის მუშაკებს, საქართველოს ყველა მშრომელს. უფრო მეტი პასუხისმგებლობის გრძნობას გვინერგავს ი ამისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლედის მესამე წლის გეგმა-ვალდებულებები.

სოფლის მშრომელებს მოსავლის ბედისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა კიდევ უფრო გაგვიძლავრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცხრე პლენუმმა. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მის მიერ დასახული ღონისძიებები, რომლებიც სამეურნეოთაშორისო კოოპერაციისა და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის და კონცენტრაციის შემდგომ განვითარებას ისახავს მიზნად, მნიშვნელოვნად გაადიდებს მემცენარეობის მოსავლიანობას და მეცხოველეობის პროდუქტიულობას, დაიჭერებს ახალი ხელოვნური ჯიშების გამოყვანას და გაუმჯობესებს მეთესლეობას. ყოველივე ეს კიდევ უფრო ამაღლებს ჩვენი ცხოვრების მატერიალურ და კულტურულ დონეს.

ახლა რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებში, ბაღ-ვენახებსა და მინდვრებში მძლავრად იგრძნობა გაზაფხულის მაჯისცემა. მხვნელ-მთესველების ყოველ საათს, ყოველ დღეს უხვი მოსავლის სამსახურში ვაყენებთ და აქედანვე მტკიცე საფუძველს ვუყრით დამკვრელური წლის გეგმა-ვალდებულებების შესრულებას.

გეგმა-ვალდებულებანი კი გაბედულზე გაბედულია. მათი განაღდება მხოლოდ ძალების დაძაბვით შეძლება, და ჩვენც მზად ვართ დავძაბოთ მიწის, მანქანების, ცოდნის ძალა და, რაც მთავარია, ადამიანების გონებისა და ხელების ძალა, რომელსაც ქვეყნად არაერთი სასწაული მოუხდენია.

ქ. ᲑᲣᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

შ. ᲙᲔᲛᲣᲚᲐᲠᲘᲐ,
ხობის რაიონის ახალი ხიბულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

მ. ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ,
ხელვაჩაურის რაიონის მეჯინისწყლის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

ხ. ᲨᲝᲜᲘᲐ,
გალის რაიონის ოქუმის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

 მწერალი და ცხოვრება

მუშა მიწყივ მუშაკობდეს...

ბლ ევანდელ საზეიმო დღეს ძნელია ადამიანმა ილაპარაკოს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში, კერძოდ, სოფლის მეურნეობაში არსებულ რაიმე არსებითს ნაკლზე. ეითა უმეტეს მაშინ, როდესაც აი უკვე მერამდენე წელია ზედიზედ ვიღებთ საკავშირო გარდამავალ დროშებს. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ყველა ამ დიდ მიღწევასთან ერთად ნაკლიც ბევრი გვაქვს და განაკეთებელიც, ხოლო რაც უფრო მეტს და პრინციპულად ვილაპარაკებ ამ ნაკლზე, საერთო საქმისათვის ეს უკეთესია. ამიტომ ამჯერადაც, ამ საზეიმო დღესაც მე მხოლოდ იმ საქმეებზე შევჩერებ მკითხველის ყურადღებას, რომლებიც ჯერ კიდევ წინ გვიდევს, რომლებიც ჯერ ისევ თავდაუდგმელია. აქვე ისიც უნდა გითხრათ, რომ ამ წერილში აღძრულ ზოგიერთ საკითხზე მე უკვე ვილაპარაკე ჩემს გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცხრე პლენუმზე, ფაქტიურად ამ წერილის საფუძველი სწორედ ამ პლენუმზე წარმოთქმული ხიტყვაა.

პლენუმზე, რომელიც, ცხადია, დიდ როლს შეასრულებს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარება-აღმავლობაში, ბაზგასმით თქვეს: რაიონებში უამრავი სამეურნეო ორგანიზაციის, სამმართველოს, ტრესტისა და, თუ გნებავთ, კულტურული დაწესებულებების ერთგვარი ავტონომია, დამოუკიდებლობა ხშირად ბადებს ერთგვარ დაბნეულობას, გაუპიროვნებლობას, უპასუხისმგებლობას, დაქაქსულობას, საქმის ერთმანეთისათვის გადაბრალების არცთუ ისე იშვიათ შემთხვევებს. და რა გამოდის? ამდენი პატრონის ხელში ჩვენი მარჩენალი მიწა თითქმის უპატრონოდ რჩება. ჯერ კიდევ კაცობრობის გარიჟრაჟზე ბერძნებმა — იმ ხალხმა, რომელიც მიწას აღმერთებდა, ჩვენ „გეორგიანოს“ — მიწათმოქმედი ხალხი გვიწოდა. არ არის დედამიწის ზურგზე სხვა ხალხი, ვისაც ასეთი სახელი ერქვას. ნუ შევარცხვენთ ამ სახელს!

ჩემი ღრმა რწმენით, ადგილებზე, რაიონებში უნდა მოხდეს მონათესავე დარგების ინტეგრაცია, კონცენტრაცია და ეს მონათესავე დარგები ერთ ცენტრალიზებულ კომპეტენტურ ორგანიზაციას დაემორჩილოს.

ახლა, როდესაც რესპუბლიკაში ასე მძაფრად დგას მიწების ახალი რეზერვების გამონახვისა და კოლხეთის ამოშრობის საკითხი, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა სასოფლო-სამეურნეო რაიონების დარგობრივი სპეციალიზაცია. ჩვენ მივეჩვიეთ რაიონებში იმ კულტურების თესვას, რომელიც გვეჭირს, ეს არ არის სწორი. ხალხმა აღებმიცემობა იმიტომ მოიგონა, რომ არ შეიძლება ერთ რაიონს ყველაფერი ჰქონდეს, ზოგს რა უჭირს და ზოგს რა. მახსოვს, ჩემს სოფელში ომის დროს ერთმა სულით ავადმყოფმა მარილი დათესა, ის დათესა, რაც უჭირდა, მერე უკვირდა, რატომ არ ამოვდაო. მარილზე აღზევას უნდა ვიაროთ, მეგობრებო, ყურძენზე — კახეთში, ციტრუსებზე, სიმინდზე, ჩაიზე — დასავლეთ საქართველოში, კარტოფილზე კი ზალკაში...

სახალხო მეურნეობაში ერთ-ერთ საჭირბოროტო საკითხად მუდამ ითვლებოდა და ახლაც რჩება კადრების საკითხი. როგორც ჩანს ეს საკითხი რვა საუკუნის წინათ შოთა რუსთაველსაც აწუხებდა, როდესაც ამბობდა: რაცა ვის რა ბედმან მისცეს დასჯერდეს და მას უბნობდეს; მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს; კვლა მაჯნურსა მაჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს, არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვასა უწუნობდეს. ესე იგი, ყველამ თავის საქმეს მიხედოსო, აგრონომს ოპერის დირექტორად ნუ დავნიშნავთ და მომღერალს აგრონომად ნუ გავაგზავნათო... როდესაც კადრების სწორ შერჩევასა და აღზრდაზე ვლაპარაკობ, არ შეეშალოს გვერდი ავუარო ხოფლის ახალგაზრდობას. მას შემდეგ, რაც ჩვენს სოფლის მეურნეობაში ასე ფართოდ დაინერგა მექანიზაცია, განა შესაწყნარებელია, რომ სოფლის ახალგაზრდობა არ ფლობდეს ამ ტექნიკას? მე ასე მგონია, რომ სოფლის სკოლადამთავრებულმა ყოველმა ჭაბუკმა უნდა იცოდეს ამ მანქანების მართვა. აბა თვითონ განსაჯეთ, განა წარმოუდგენელი არ იქნებოდა, რომ ახი წლის წინათ გლეხის ბიჭს თოხნა, ცელის მოქნევა და ურმის გაძღოლა არ სცოდნოდა?...

ნაკლებ შემაწუხებელი როდია ის გარემოება, როდესაც ესა თუ ის პიროვნება დაკისრებულ მოვალეობას და საქმეს, ვალდებულებას კეთილსინდისიერად არ ეკიდება. მე, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ სტაქიური უბედურებით გამოწვეულ და გაუთვალისწინებელ ვალდებულებათა შეუსრულებლობას. მე ვგულისხმობ ყოყოჩობისა და თავის გამოჩენის მიზნით გამოწვეულ უპასუხისმგებლობის შემთხვევებს.

როდესაც იცი, რომ ერთი ქათამი გეყავს და ისიც იცი, რომ ეს ქათამი დღეში ერთი კვერცხის მეტს ვერ დებს, არ უნდა დაპირდე მთავრობას ხუთ კვერცხს, როდესაც შენი მოიმედე მთავრობა მოსახლეობის კვერცხითა თუ ხორცით მომარაგების საკითხს შენი დანაპირების მიხედვით გეგმავს და დანაპირებს თუ ვერ შეასრულებს, სახელი გაუტყდება. ამის უფლება კი არც ერთ ჩვენგანს არა აქვს.

ეს კიდევ არაფერი, ამ ბოლო დროს საქართველოში ძალიან მომრავლდნენ ეგრეთ წოდებული მოწმეები. ერთხელ როცა „ნიანგის“ რედაქტორი ვიყავი, ასეთი წერილი მივიღე: ამხანაგო რედაქტორო! ჩვენი რაიონის სტადიონის ღობიდან ორი სარი ამოუძვრიათ, აგერ უკვე სამი თვეა ვუყურებ და კაცაშვილი პატრონი არ ჩანს, სტადიონი ღორებით და ძროხებით აივსო. მაშინ იმ კაცს მივწერე, მაგ წერილის წერას გერჩია სტადიონიდან ის ძროხები გაგერეკა და ის ორი სარი თავის ადგილას ჩაგესო-მეთქი. აი ასეთ კაცს ჰქვია მოწმე, ხოლო ასეთ მოწმეობაზე ადვილი არაფერია, მთავარია ყოველმა ჩვენგანმა თავის თავში მოპასუხე აღზარდოს.

მე ძალიან ხშირად ვფიქრობ სოფლის მეურნეობის საკითხებზე და ხშირადაც ვაწუხებ ხოლმე ხელმძღვანელ ამხანაგებს. წარმოიდგინეთ, იმდენად ხშირად, რომ ერთხელ მითხრეს კიდეკაც — რა გაგიჭირე საქმე, დაგვანებე თავი, ჩვენ ხომ არ გიშლით ხელს წერაშიო! — მაგრამ, როგორც ხედავთ, მაინც არ ვანებებ თავს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი „მეცხოველეობა უპირველესი საზრუნავია“ ნათქვამია: საქართველოს შეუძლია და უნდა გახდეს კიდეც მაღალგანვითარებული მეცხოველეობის ქვეყანა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული ამაში. საქართველოს შეუძლია კი არა, უფრო მეტიც: ხირცხვილია, რომ საქართველო არ არის მაღალგანვითარებული მეცხოველეობის ქვეყანა. ამ წერილში ისიც წერია, რომ ახლო წარსულში რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა პირუტყვის სულადობა, რის შედეგადაც მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებელთა დიდი ნაწილი თავად გადაიქცა ამ პროდუქტების მხოლოდ მომხმარებლად. დღეს ორი აზრი არ არსებობს, გამოსავალი მხოლოდ ერთია: რესპუბლიკაში დაჩქარებული ტემპით უნდა განვითარდეს მეცხოველეობა და უპირველეს ყოვლისა გაიზარდოს პირუტყვის სულადობა. მაგრამ, მოგეხსენებათ, ძროხა პირდაპირ მეწველი არ იბადება, მასაც აქვს ხბორობის პერიოდი. ხბოების დაცვას ფსევდო-ჰუმანიზმში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ იმის დაკვლა, რაც დღეს 10 კილოგრამს იწონის და ერთ წელიწადში ორასი კილოგრამამდე გახდება, არ შეიძლება. ეს ელემენტარული არითმეტიკაა და ამის ცოდნას არ სჭირდება ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის დამთავრება.

ვიცი, რომ რასაც ახლა ვწერ, ამის გაკეთება არც ისე იოლი საქმეა, ვიცი, რომ ყოველივე ამას უამრავი სახსრები და ტიტანური შრომა სჭირდება. მაგრამ ნუ დავიშურებთ გარჯასა და შრომას და ჩვენი სახელმწიფო არაფერს დაიშურებს ჩვენთვის.

პირადად მე დიდ შეცდომად მიმაჩნია საქართველოში თხის ბედაშვებება, განსაკუთრებით ღასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში. სპეციალისტები ამტკიცებენ, თითქოს თხა ტყეს ჭამდეს და ანადგურებდეს. მე ეს არ მჯერა. ადამიანი და თხა ერთად გაჩნდა ამ ქვეყანაზე და რომელმა უფრო გაანადგურა და შეჭამა ტყე, ღმერთმა განსაჯოს, საქართველოს ტყე თხამ კი არა, ბუზარმა შეჭამა. ხეხილის ბალები, ვენახები, ყანები და ბოსტნები უნდა შეიღობოს, თორემ რაც მე ადამიანის მიერ ცოვგმბროის გზაზე ჯერ უმწიფარი ჭერმის დამტვრეული ნარგავები მინახავს, მაგას არც ერთი თხა არ იკადრებს ქვეყანაზე...

ორიოდე სიტყვა მინდა მოგახსენოთ საკაცობრიო მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო მიღწევებისა და მათი დროული ინფორმაციის შესახებ, თორემ ისე გამოდის თითქოს ჭურში ვზივართ და მერე გვიკვირს ასე როგორ ჩამოვრჩითო. დროულ ინფორმაციას უზომო მნიშვნელობა აქვს.

უნივერსიტეტში სახალხო მეურნეობის კათედრაზე მუშაობის დროს ხრულიად შემთხვევით წავიკითხე მაშინდელი საკავშირო სოფლის მეურნეობის წინასტრის მაკეევიჩის წიგნად დაბეჭდილი ანგარიში მისი ამერიკაში მოგზაურობის შესახებ. ეს იყო საოცარი, უნიკალური წიგნი, რომელშიც მოთხრობილი იყო ჩვენი საუკუნის მიღწევები სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში, იგი სავსე იყო უაღრესად სასარგებლო რჩევებითა და ილუსტრირებული ძალიან საინტერესო მაგალითებით, ნიადაგის ქიმიზაციის, პირუტყვის კვებისა და მოშენების, ნათესბალახიანი თესლბრუნვისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის წარმოების კულტურის შესახებ. მე დღემდე განცვიფრებული ვარ, რატომ არ გახდა მაშინ ეს შესანიშნავი წიგნი ყველასათვის ხელმისაწვდომი. პირიქით ასეთი წიგნი მილიონობით ტირაჟით უნდა დაიბეჭდოს, რათა ჩვენს ყველა სოფლის მეურნეს სახთუმალს ედოს, როგორც ყოველდღიური ხახელმძღვანელო. განა ძროხასათვის სულერთი არ არის ვინ გამოკვებავს უკეთესად, ამერიკელი ფერმერი თუ ქართველი გლეხი. ეს ჩემი აზრი არ გახლავთ მეკობრეობო, ეს დიდი ლენინის აზრია, რომ ყველაფერი კარგი და ჩვენთვის ხასარგებლო უნდა გადმოვიღოთ კაპიტალისტებისაგანაც, ისევე როგორც ისინი ნერგავენ ყველაფერს კარგს ხაბჭოურს თავის ქვეყანაში, ყოველგვარი ხარცხვილისა და ხინდისის ქეშნის გარეშე.

ეპას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმი გაიმართა. ეს არ იყო წარმატებებით აღტაცებული ხალხის თავყრილობა... ეს იყო პარტიის გულახდილი ხაუბარი ხალხთან, მას არაფერი დაუმალავს ხალხისათვის, არც დაუკლია, არც მიუმატებია, ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა, რამეთუ გულახდილობა გახლავთ უპირველესი წამალი ყოველგვარი სატკივარისა და უპირველესი იარაღი არასწორი, ინფორმაციის და კულისებში ჩურჩულის წინააღმდეგ. ყველა, ვინც იმ დღეს დარბაზში იჯდა, ალბათ გრძნობდა, რომ ჯერ არ დამდგარა დაკაპაწებული მკლავების ჩამოშვების დრო, პირიქით, ყველაფერი ახლა იწყება, უფრო მეტი პასუხისმგებლობით, უფრო დიდი ხიმწვავითა და პრინციპულობით.

როდესაც ცენტრალური კომიტეტი აკრიტიკებდა რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არსებულ მექრთამეობას, მომხვეჭელობას, ფორმალიზმს, კორუფციას, უდისციპლინობასა და იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში არსებულ ხარვეზებს, მე როგორც მწერალი, მოკალაქე, ცენტრალური კომიტეტის წევრი და უმაღლესი ხაბჭოს დეპუტატი, მთელი პასუხისმგებლობით ვინაწილებდი ამ მძიმე ბრალდებას, რადგან ჩემი მწერლური ხინდისი და მოვალეობა ალბათ გაცილებით მეტს მაკისრებს, ვიდრე გამიკეთებია. და პირიქით, როდესაც ლაპარაკობენ იმაზე, თუ რა ბასიკეთო ძვრები მოხდა ამ.შაში, თერჯოლაში, გურჯაანში, ხაჩხერესა და სხვა რაიონებში, ჩვენი გული სიხარულით ივსება და ამ ქებას ჩემი მისამართითაც ვიღებ, რადგანაც ამ რაიონების ხელმძღვანელები ჩვენი მეგობრები არიან და მუხლჩაუდგმელად აკეთებენ დიდ ხახელმწიფოებრივ ხაქმეს.

როგორც ცნობილია ჩვენში დაწესებულია საუკეთესო პროპაგანდისტის სამახსოვრო მედალი, ვფიქრობ, სხვაზე არანაკლებ დაამშვენებდა ეს მედალი ქართველი მწერლის მკერდს, რადგან მე არ მეგულება ქვეყნად მწერალზე დიდი პროპაგანდისტი.

აი რვა საუკუნეა, ცოცხლობს და გვაცოცხლებს დიდი რუსთაველის უკვდავი სიტყვა, ხაუკუნეა მხარში გვიდგას და გვამხნევებს დიდი ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას და იაკობ გოგებაშვილის აჩრდილები.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რა ჩემი საქმეა ხოფლის მეურნეობის საკითხებზე ხაუბარი, მაგრამ გწამდეთ: როდესაც ერის, ხახელმწიფოს, ხალხის სულიერ, ზნეობრივ და თუნდაც მატერიალურ ფასეულობათა ანალიზი, შეფასება და ხალხის სამსჯავროზე გამოტანა ხდება, მწერალი მოწმე არ არის, იგი პასუხს აგებს ხალხის და შთამომავლობის წინაშე, ერის ყველა ხახარულის, წარმატებისა თუ წარუმატებლობის გამო.

ქართული მწერლობა ხალხის, პარტიის ერთგული ჯარისკაცია. ქართველი მწერლები, რომლებიც არახდროს მოწმეები არ ყოფილან, რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად იზიარებენ დღევანდელ ხიხარულს და ყველაფრისთვის აგებენ პასუხს პარტიის, ხალხისა და ერის წინაშე!

ნოდარ დუმბაძე.

„პარტიული სიტყვა“ №5

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის „პარტიული სიტყვის“ მორიგი, მეხუთე ნომერი.

ჟურნალი ქვეყნებს აგიტატორ რ. მოდებაძის მოწოდებას — ამხანაგო აგიტატორებო! სიტყვითა და საქმით ვიბრძოლოთ დეკემბრის: დამკვრელურ წელს — დამკვრელური შრომა.

რუბრიკით „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის, საქართველოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულია წერილები და კორესპონდენციები: ვ. მელქაძის — ვიმუშაოთ ყაირათიანად, უდანაკარგოდ; გ. აბესაძის — ეკონომიას, მომეჩირნობას კარგი მეურნის თვალი სჭირდება; მატერიალური დანახარჯების 1 პროცენტი ეკონომიის სიკეთე; ც. კუბლაშვილის — შეჯიბრებაში რომ გავიმარჯვეთ... მისმა კარგმა ორგანიზაციამ, მოწინავე გამოცდილების გავრცელებამ განაპირობა; დ. დადიანი — საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა.

ანძლიგთ „ფეხმაურებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილს“ დაბეჭდილია შ. მეგრელიშვილის წერილი — მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტი.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „კონსულტაცია“; „მახალები სიტყვიერი გამოსვლისათვის“; „ალზრდას — კომპლექსური მიდგომა“; „ჩვენი რეპლიკა“; „სპეციალისტის რჩევა-დარიგება“; „შრომელთა წერილების მიმოხილვა“; „გვეკითხებიან — ვუპასუხებთ“; „ხამედიცინო თემაზე“; „ვის რა აინტერესებს...“.

10 მარტი, 1978 წ. ● კომუნისტი 3

მსოფლიოს ამბები

თანამეგობრობა კოსმოსში

მთელი მსოფლიო შეუნელებელი ყურადღებით ადევნებს თვალს „სალუტ-6-,,სოიუზ-27“-,,სოიუზ-28“ ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის საერთაშორისო ეკიპაჟის ფრენას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მეცნიერული და საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლები მაღალ შეფასებას აძლევენ კოსმოსური სივრცის მშვიდობიან კვლევას, რასაც ერთად ეწევიან სოციალისტური ქვეყნები.

ჩეხოსლოვაკია

ჩეხოსლოვაკიელი კოსმონავტის მონაწილეობა ასალანდელ კოსმოსურ ექსპერიმენტში — ეს არის „ინტერკოსმოს“ პროგრამის განხორციელებაში ჩვენს მეცნიერთა და ინჟინერთა ათი წლის. თანამშრომლობის ლოგიკური განგრძობა, ჩვენი მეცნიერებისადმი, ჩვენი ხალხისადმი საბჭოთა ამხანაგების ნდობისა და მაღალი შეფასების შედეგი, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ი. კოჟეშნიკმა, რომელიც „სოიუზ-28“ ხომალდის სტარტს ესწრებოდა და ახლა ჩამოვიდა სსრ კავშირიდან, ჩეხოსლოვაკიელი კოსმონავტის ფრენა ბევრს ავალებს ჩვენს მეცნიერებას და ტექნიკას. ჩვენ საბჭოთა მეგობრებთან, სხვა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებთან ერთად კვლავაც მუდამ ერთად ვიმრომებთ „ინტერკოსმოსის“ პროგრამით დასახული ყველა გეგმის შესასრულებლად.

მსოფლიოს პირველი საერთაშორისო ეკიპაჟის გაგზავნა მოწმობს, რომ ნიადაგ ფართოვდება სოციალისტური ქვეყნების ძმური თანამშრომლობა უფრო მაღალ დონეზე, ცხადყოფს სოციალისტური მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდეს უპირატესობებს, სოციალისტური თანამეგობრობის მორალურ ძალას და მტკიცე ერთიანობას, ჭერს ბრატისლავის გაზეთი „რიღნიცკა ნოვინი“. იმ ამბავმა, რომ ეს ფრენა რეალური სოციალიზმის ქვეყანამ მოაწყო, ახალი წვლილი შეიტანა კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნით კვლევას.

გდრ

ამ დღეებში, წერს გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ჩვენ კოსმოსის ათვისების დიდმნიშვნელოვანი ეტაპის მოწმენი გავხდით. ტელეგრაფნის, რადიოსა და პრესის წყალობით თითქოს ჩვენ თვითონ ვმონაწილეობთ კოსმოსური სივრცის ათვისებისა და მშვიდობიანი მიზნით გამოყენების გრანდიოზული პროგრამის განხორციელებაში. ეს პროგრამა სოციალიზმისათვის ჩვეული სიზუსტით და გეგმაზომიერებით სრულდება. საბჭოთა კოსმოსური ხომალდებით სოციალისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლების ერთობლივი ეკიპაჟების ფრენის დაწყება სულაც არ არის ჩვეულებრივი კოსმოსური ექსპერიმენტი. ეს, ხაზს უსვამს გაზეთი, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ახალი ტრიუმფია.

ბულგარეთი

ბულგარული ყოველკვირეული „პოგლედი“ ინტერნაციონალური კოსმოსური ეკიპაჟის ფრენას უწოდებს დედამიწისირგვლივი სივრცის კვლევაში სოციალისტური ინტეგრაციის მატერიალურ გამოხატულებას, მის შესაძლებლობათა მაჩვენებელს. საბჭოთა კოსმოსური ტექნიკა, საბჭოთა მეცნიერების, კონსტრუქტორებისა და მუშების გამოცდილება, აცხადებს ყოველკვირეული, სოციალისტური თანამეგობრობის წარმომადგენლებს შესაძლებლობას აძლევს გააერთიანონ მეცადინეობა უაღრესად კეთილშობილური ამოცანის გადაწყვეტის — კოსმოსური სივრცის ადამიანის საკეთილდღეოდ ათვისების მიზნით.

მონღოლეთი

რომა თვალსათლივ ვხედავ „ინტერკოსმოსის“ პროგრამის ასეთ გაქანებას, თქვა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორმა ბ. ჩაღრამ, უნებლიედ გახსენდება ძველი მონღოლური ანდაზა — ალაჩოყს დედაბოძად ჭოკი უდგას, ცხოვრებას კი მეგობრობა.

„ინტერკოსმოსის“ ყველა მონაწილისათვის, რომლებიც მშვიდობიანი მიზნით ეწევიან კოსმოსური სივრცის ინტენსიურ კვლევას, ასეთი დედაბოძი გახდა ოქტომბრის სამშობლოსთან ძმობა. კოსმონავტთა საერთაშორისო ბრიგადის პირველი ფრენა, მათი წარმატებული ექსპერიმენტები ორბიტაზე მარტოოდენ მეცნიერული მნიშვნელობის ეპოქალური მოვლენა როდია. იგი მომმე სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა მეცადინეობის გაერთიანებაში ახალ ეტაპს მოსწავლებს და აუწყებს მსოფლიოს, რომ სსრ კავშირის — მოწინავე მეცნიერების ქვეყნის მიღწევები დღეს დიადი სოციალისტური თანამეგობრობის საყოველთაო კუთვნილება გახდა. (საკდესი, 9 მარტი).

ახლო აღმოსავლეთი

ზეწყდეს საფიფი მანევრები

ბეირუთი, 8 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ატერტონმა, რომელიც შუამავლად მისიას ასრულებს ისრაელისა და ეგვიპტის მოლაპარაკებში, 6 მარტს ეგვიპტის პრეზიდენტს გადასცა ისრაელის პრემიერ-მინისტრის პასუხი მის წერილზე.

უკვე ნახევარი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც დაიწყო ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების „მაქსიმური დიპლომატიის“ ახალი რაუნდი, ეგვიპტის მოლაპარაკება ისრაელთან ჯერჯერობით ადგილიდან არ იძრაა. მიუხედავად ამისა, ამერიკის ემისართან მორიგი შეხვედრის შემდეგ სადათმა განაცხადა, რომ საჭირო „გაგრძელდეს ამერიკის შეერთებული შტატების ღონისძიებანი“.

ხადათის ეს განცხადება, ოგრეთვე თვით ატერტონის მისია, მისი შეხვედრები ისრაელისა და ეგვიპტის ლიდერებთან მოწმობენ, რომ ეგვიპტის ხელმძღვანელობა უწინდებურად იმედს ამყარებს შეერთებულ შტატებზე, რომ იგი გავლენას მოახდენს ისრაელზე და აიძულებს მას თუნდაც უმნიშვნელო დათმობაზე წავიდეს, რათა გარეგნულად გაამართლოს არაბული ქვეყნების თვალში ეგვიპტის ხეპარატული პოზიცია.

ჯერჯერობით კი დათმობაზე მიდის არა ისრაელი, არამედ ეგვიპტე. კაირო უკვე აღარ მოითხოვს პალესტინის სახელმწიფოს შექმნას. იგი აღარაფერს ამბობს იმაზე, რომ საჭიროა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების კონფერენციაში მონაწილეობას იღებდეს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციაა — პალესტინის ახალი ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელი. პირიქით, თავად პრეზიდენტ სადათ ეცალა ეგვიპტე ახლა მიმართავს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასა და მისი ხელმძღვანელების წინაღმდეგ.

ადგილობრივი მეთვალყურენი დასკვნიან, რომ ეგვიპტე მზად არის ტერიტორიულ საკითხებზეც შეუთანხმდეს შემდგომ დათმობებს. ეს იმის ნიშნავს, რომ ეგვიპტე ზეიდიზედ თმობს არაბთა საერთო პოზიციას და ამით საშუალებას აძლევს ისრაელს კიდევ უფრო მკაცრი მოთხოვნები წამოუყენოს არაბულ ქვეყნებს.

როგორც აქ ხაზგასმით აღინიშნავენ, იმის იმედი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაიცავს არაბთა ინტერესებს და ხელს აიღებს ისრაელის მხარდაჭერაზე — დიდი პოლიტიკური შეცდომაა „მაქსიმური დიპლომატიის“ ხაშუალებით ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს გვერდი აუაროს ჟენევის ხაზავო კონფერენციას იმ მიზნით, რომ ტელ-ავივმა და კაირომ დაფონ ხეპარატული გარიგება, რომელიც მხოლოდ ისრაელსა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს შეესაბამება.

ამერიკული კანონი მოჭვიდებს

ვაშინგტონი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა გადაწყვიტა ტაფტ-ჰარტლის ანტიმუშური კანონი გამოიყენოს 169 ათასი ამერიკელი მეშახტის გაფიცვის ჩასახშობად.

პრეზიდენტმა ტელევიზიით გამოაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღო მას შემდეგ, რაც გაფიცულმა მეშახტეებმა ხმის დიდი უმრავლესობით უარყვეს მეწარმეებთან შრომითი შეთანხმების პროექტი. ეს პროექტი მაღალოფლობრივ ითვლ მოიახეიე მთავრობის ხეგადგენილი გაერთიანებულ პროფკავშირის თავს მოიახეიე ბრიგადის ბეგადგენილ, ოგორც ჩანს ამერიკელ ჩაურიგ მოლაპარაკებებში შეხტების მფლობელთა მხარეზე.

ტაფტ-ჰარტლის კანონით მიმავრობა უფლება აქვს სასამართლოს მუშეობით ოპრძანოს გაფიცულ მუშებს ხამუშაოზე დაბრუნდნენ 80 დღის ვადით. ამ ხნის განმავლობაში პროფკავშირი და მეწარმეები ვალდებული არიან აწარმოონ მოლაპარაკება კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოოდება მაღაროელთა ხამართლიანი ბრძოლისადმი სოლიდარობის მოძრაობა. პროგრესული საზოგადოებრიობა აღმფოთებულია მთავრობის ცდით მოუსპოს მაღაროელებს გაფიცვის კანონიერი უფლება და მიაჩნია, რომ ეს მეშახტეთა მოქალაქეობრივი უფლებების ჩიხშობაა.

მშრომელთა სოლიდარობის მაგალითი მაგალითი გახდა დახმარება, რომელსაც ამერიკელი ფერმერები უწევენ მეშახტეებს. მათ კენტუკის მეშახტეებს ჩამოუტანეს პური, ბოსტნეული და სხვა პროდუქტები. ეს სურსათი 14 შტატში შეაგროვეს ფერმერებმა.

მოკლედ ყოველ ოსრიდან

ლეიბორისტთა მოთხოვნა

● ლონდონი. მიავლენოთ ინგლისის მთავრობის ეკონომიკური კურსის საფუძვლიანად გადასინჯვას, გავაჩაღოთ ბრძოლა რასიზმის წინააღმდეგ, რომელმაც თავი წამოყო ბრიტანეთის კუნძულებზე — ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს დიდი ლონდონის ლეიბორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის სხდომაზე, რომელიც აქ გაიმართა.

ინციდენტი ლოურენსვილში

● ნიუ-იორკი. ქალაქ ლოურენსვილში (ჯორჯიის შტატი) რამდენიმე ტყვეთით მძიმედ დაჭრეს უურნალ „ჩასტერი მეგზურისა“ და ამერიკის შეერთებულ შტატებში გამომავალი მთელი რიგი ყოველკვირეული გაზეთების მფლობელი ლერი ფლინტი.

ლ. ფლინტმა, რამდენიმე თვის წინათ საეჭვოდ მიიჩნია პრეზიდენტ კენედის მოკვლის გარემოებათა გამოძიებული უორენის კომისიის დასკვნა იმის შესახებ, რომ ოსვალდი იყო მარტოხელა მკვლელი.

შეურაცხმყოფელი ვიზიტი

● გუაიაკილი, ეკვადორის პროგრესული საზოგადოებრიობა მოითხოვს გაუქმდეს მათ ქვეყანაში ჩილეს მმართველი ფაშისტური ხუნტის წევრის, კარაბინერთა (პოლიცია) კორპუსის უფროსის გენერალ სესარ მანდოხას ვიზიტი.

ეკვადორის მიწაზე ჩილეს ფაშისტური რეჟიმის ერთ-ერთი თავკაცის ყოფნა, რომელსაც ხელები ჩილელ პატრიოტთა სისხლში აქვს ამოსვრილი, ნათქვამია ამ ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირების ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გათვალისწინებით.

საფრანგეთის კომუნისტებმა კი მოითხოვეს ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის განხილება იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რაც ქვეყანაში უკანასკნელი წლების მანძილზე მოხდა. მაგალითად, მათ შეიტანეს წინადადება გაფართოვდეს ნაციონალიზაციის მასშტაბი, დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იქნება აღმამფოთებელი სოციალური უთანასწორობის გამოსწორება, მოსახლეობის დასაქმების გადიდება მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

18 წელზე უხნესი 30 მილიონამდე ფრანგი მივა 12 და 19 მარტს საარჩევნო ყუთებთან, რათა აირჩიონ ეროვნული კრების 491 დეპუტატი. არჩევნები საფრანგეთში ეწყობა ეგრეთ წოდებული მაჟორიტარული სისტემით. იგი შემოიღეს 1958 წელს, რათა შეემცირებინათ ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი ოპოზიციური ძალის — საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წარმატების შანსი. დღემდე ეს სისტემა საშუალებას აძლევდა ბურჟუაზიულ პარტიებს პირველ ტურში მიღებული ხმის ნაკლები რაოდენობის პირობებშიც კი გამარჯვებისათვის მეორე ტურში ბლოკირების გზით.

არჩევნების წინ ვითარება ქვეყანაში იმენად რთულია, რომ ვერც ერთი პოლიტიკური მიმმხილველი ან მოლოგიური ვერ ბედავს ოფინასწარმეტყველოს მისი შედეგი.

ო. ზიროკოვი.

საფრანგეთი: გაღამღვევი არჩევანის წინ

საერთაშორისო შენიშვნები

ორ ტურად — 12 და 19 მარტს საფრანგეთში ჩატარდება პარლამენტის არჩევნები, რომლის მსვლელობაში შეიცვლება ხუთი წლის წინათ არჩეული ეროვნული კრების შემადგენლობა. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგან პარტიას ან პარტიების კოალიციას, რომელიც არჩევნებში დამპატიჟა ადგილების უმრავლესობას მოიპოვებს პარლამენტში, კონსტიტუციის შესაბამისად უფლება ეძლევა შეადგინოს მთავრობა.

ახლანდელი არჩევნები ეწყობა ისეთ ვითარებაში, როცა უაღრესად მწვავედ უპირისპირდება ერთმანეთს ორი პოლიტიკური დაჯგუფება — ერთი მხრივ, მთავრობის კოალიციაში შემავალი ბურჟუაზიული პარტიები და, მეორე მხრივ მემარცხენე ოპოზიციის სამი პარტია — კომუნისტური, სოციალისტური პარტიები და მემარცხენე რადიკალთა მოძრაობა. საფრანგეთის პოლიტიკურ ასპარეზზე ბრძოლის განსაკუთრებულ სიმწვავე, მეთვალყურეთა შეფასებით, უმეალოდ დაკავშირებულია ღრმად გაკვანძურებულ ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისთან, რომელმაც ქვეყანა მოიცვა, დემოკრატიული ცვლილებებისადმი მზრმენელ მასების მზარდ მზარდ მისწრაფებასთან.

მაკეგის კრეგა

სამინისტრო ანგარიშს აბარებს შრომითის კოლექტივს

შრომითი კოლექტივების წინაშე ხაქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხელმძღვანელთა ანგარიშით გამოსვლა. სიხტემატურ ხასიათს იღებს. რამდენიმე ხნის წინათ ასეთი შეხვედრა გაიმართა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტროსაშენებელი ქარხნის წარმომადგენლებთან, შემდეგ რუსთაველ მეტალურგებთან.

შინისტრმა ო. ჟინკლაძემ მოკლედ მოხაზა იმ კარდინალურ პრობლემათა წრე, რომელზეც საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობის შემდეგ სამინისტრო და განათლების ორგანოები მუშაობენ.

ყმაწვილების სწორი პროფესიული ორიენტაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ბავშვის განსაკუთრებული მონაცემებისა და ამა თუ იმ დარგისადმი მიდრეკილების დროულად შენიშვნა, გამოვლენება, მისი გაღვივება და განმტკიცება მასწავლებლებისა და შობლების საერთო საზრუნავია. აქ მოიყვანეს ასეთი მაგალითი. ეკონომის სპეციალობის არჩევას მოსწავლე მხოლოდ იმ მოტივით ასაბუთებს, რომ იგი ქიმიით, ფიზიკითა და ბიოლოგიით არ-ს გატაცებული, ხოლო მედიცინის მუშაკს ეშმარიტი მიზანი, მაღალი ჰუმანური იდეალი, შინაგანი მოწოდება — გაჭირვებული ადამიანის დახმარებისათვის მზადყოფნა კა, თურმე, მისი აზროვნების მიღმა რჩება. ასეთი არჩევანი გამართლებულად ვერ ჩაითვლება.

მომავალი ცხოვრების გზის დაუფიქრებლად, ნაჩქარევად არჩევა სწორ კვალს აცდენს ახალგაზრდას და საბოლოო ანგარიშით შეიძლება ხაზოგადოებისათვის არასრულფასოვანი მოქალაქე დადგეს. ამიტომ პროფორიენტაცია მუდამ უნდა იდგეს სკოლის, საზოგადოებისა და ოჯახის ყურადღების ცენტრში.

ყოველწლიურად რესპუბლიკის ზოგიერთ-განმანათლებლო სკოლებს 80 ათასამდე ახალგაზრდა ამთავრებს, უმეოლეს სასწავლებლებს კი მხოლოდ 8-10 ათასის მიღება შეუძლიათ, სად უნდა წავიდეს დანარჩენი?

ამ საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ეგრეთ წოდებული სასკოლათამორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა თავიდანვე ერთ დროულად მონაწილე თავისი ადგილი წარმოებაში, ახლა ზოგან, მაგალითად, თერჯოლის რაიონში უკვე შექმნილ, ხოლო ზოგან კი — თბილისში, რუსთავში და სხვაგან, მალე გაიხსნება ასეთი სასწავლო-საწარმოო კომბინატები, სადაც ახალგაზრდები სასკოლო საგნების შესწავლის პარალელურად ამა თუ იმ სპეციალობის შეიძენენ, სკოლის დამთავრებისთანავე შეუძლიათ სამუშაო ადგილი დიკავონ, თავსაც ერგონ და ხალხსაც.

გადაჭრით უნდა [illegible] ლოთ ეკრეთ წოდებულ „სათბურებში“ ბავშვის გამოზრდის მავნე პრაქტიკას, როცა ზოგიერთი მშობელი ცდილობს შვილს „ცივი ნიავი არ მიაკაროს“. პირიქით, შინ პატარაობიდანვე უნდა ჯეუნერგავდეთ ბავშვებს შრომის სიყვარულს.

ტექნიკური პროგრესის წყალობით მეტად შეიზღუდა საერთოდ ადამიანისა და კერძოდ მოსწავლის ფიზიკური განვითარების შესაძლებლობა, ამან ახლებურად დააყენა სკოლებში ფიზკულტურისა და მასი როლის ამაღლების ამოცანა.

ამბ. ო. ჭინქლაძემ აღნიშნა ავრეთვე, რომ აუცილებელია რუსული ენის დაუფლება და მისი სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ილაპარაკა ამ მიმართულებით გაწეულ საექსპერიმენტო მუშაობაზე და მის დადებით შედეგებზე; თქვა, რომ საჭიროა ბავშვებს გამოუმუშაოთ საკუთარი, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. მინისტრი ვრცლად შეჩერდა ლიბერალიზმის, პროტექციონიზმის, მასწავლებლებ-სათვის საზუქრების მირთმევის (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი მოსწავლეთა ხელით არის დაბზადებული) და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაზე. მან მოიყვანა ატესტატებში ნიშნების წამატების მაგალითები, მათ შორის რუსთავის ყოფილ-ებიდანაც, აღნიშნა, რომ ასეთი წამატებების ინიციატივა ხშირად შობლებისაგან მოდის.

ახლა კი დამსწრეებს — შობლებს მოვუსმინოთ, თუ რა ფიქრობთ და რა სურთ.

კ. ბაძრაძე — ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი. მრავალ სასარგებლო საქმეს აკეთებს ქარხანაში შექმნილი სკოლასთან წარმოების კავშირის საზოგადოებრივი საბჭო. ასეთი საბჭოები, უთუოდ, სხვაგანაც იქნება. მაგრამ ყოველთვის არ ვიცით, თუ პედაგოგიურად რამდენად გამართულია მისი მოქმედება. მას კვალიფიციური რჩევა და მეთოდიკური დახმარება სჭირდება. ეს განათლების ორგანოებმა უნდა ითავონ.

მოსწავლეთა სწორი პროფორიენტაციისათვის ჩვენი ქარხანაც ბევრ ეფექტებსა თუ ტერმინებს წაიწყდება, მოსწავლეს კი არა, უფროსებს გაუჭირდებათ მ-სი გაგება. თარგმანი სერიოზულად მოიკოჭლებს. აქვე ერთი ასეთი შენიშვნა მინდა გამოვთქვა. ჩემი აზრით, იმის გამო, რომ ქარხნები უხარისხო ბურთულიან საწერკალმებს უშვებენ, უმცროსი კლასის მოსწავლეებს კალიგრაფია უმახინჯდებათ. ხანდახან ვიფიქრებ ხოლმე, ისევ ძველებური მელან-კალამი ხომ არ აჯობებდა.

მინისტრი — ეს აზრი უთუოდ ყურადსაღებია და ჩვენ აუცილებლად ვისაგებლებთ ამ თავაზიანი წინადადებით.

გ. ბასიშვილი — ზეინკლთა ბრიგადირი: რეპეტიტორობა მავნე სენია და მკაცრად უნდა ვებრძოლოთ მას. ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა თვით პედაგოგმა უნდა თქვას. მან ბოლომდე უნდა მოიხადოს თავისი ვალი მოსწავლეთა წინაშე და ყოველნაირად დაეხმაროს, კერძოდ, დანიშნოს დამატებითი გაკვეთილები. მაგრამ ყველგან ასე როდი იქცევიან.

ტ. ცაბიტაშვილი — მეფოლადე: არ ვიცი სხვები რას იტყვიან, მე კი სიმართლე გითხრათ, მოსწავლის ახლანდელი მაგიდა არ მომწონს. იგი ხელს არ უწყობს ბავშვის ფიზიკურ განვითარებას. ძველებური მერხების კონსტრუქცია თითქოს უფრო უკეთესად გამოიყურებოდა.

მინისტრი — მართალი ბრძანდებით. ასეთი აზრი სხვაგანაც გამოითქვა. ამიტომ სპეციალისტები უკვე მუშაობენ ახალი, მოსწავლეთათვის უფრო მოხერხებული კონსტრუქციის მერხების შექმნაზე.

ი. გოგიჯანიშვილი — საბრძოლო საამქროს ლაბორატორიის ჯგუფის უფროსი. აღლეტ ხელში ზოგიერთი ნათარგმნ სახელმძღვანელოს და გიკვირს. ისეთ ტექსტებსა თუ ტერმინებს წაიწყდება, მოსწავლეს კი არა, უფროსებს გაუჭირდებათ მ-სი გაგება. თარგმანი სერიოზულად მოიკოჭლება. აქვე ერთი ასეთი შენიშვნა მინდა გამოვთქვა. ჩემი აზრით, იმის გამო, რომ ქარხნები უხარისხო ბურთულიან საწერკალმებს უშვებენ, უმცროსი კლასის მოსწავლეებს კალიგრაფია უმახინჯდებათ. ხანდახან ვიფიქრებ ხოლმე, ისევ ძველებური მელან-კალამი ხომ არ აჯობებდა.

მინისტრი — ბურთულებიანი კალმები სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის მიერ არის რეკომენდებული და შემოღებული. ჩანს, მწარმოებლებს უფრო მტკიცედ უნდა მოვთხოვოთ, რომ მეტი ყურადღება მიექცეთ ნაწერის ხარისხის გაუმჯობესებას.

თ. ბერიშვილი — ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსის მოადგილე: ამბობენ, რომ რუსეთის სკოლებში და, მგონი, ზოგიერთ სხვა რესპუბლიკაშიც, მხოლოდ VIII და X კლასებშია გამოცდები, ჩვენთან კი ყველა კლასშია. შეიცვლება თუ არა ეს წესი?

მინისტრი — წლეულს ვაპირებთ ამ მიმართულებით ნაბიჯის გადადგმას. თუ რა ცვლილებები იქნება, ცოტა უფრო მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ბ. ქაშაკაშვილი — მარტენის საამქროს უფროსი: ვინ უნდა იყოს მასწავლებელი? ყველას ხომ ვერ ვანდობთ მოზარდი თაობის ბედს, ვფიქრობ, უნდა შემუშავდეს ძირითადი კრიტერიუმები, თუ ვინ შეიძლება გახდეს პედაგოგი და რა ინდივიდუალური თვისებებით უნდა იყოს დაჯილდოებული, რომ შემთხვევითი ადამიანების ხელში არ მოხვდეს მოსწავლეთა ბედი. საერთოდ კი ასეთი საუბრები და სპეციალური ლექციები სასარგებლოა, ხელს შეუწყობს შობლების პედაგოგიზაციას და აღზრდის საკითხებში უკეთ გარკვევას.

ვ. ზურაბიშვილი — მარტენის საამქროს უფროსის თანაშემწე: IV-V კლასების პროგრამები მეტად გადატვირთულია, სახელდობრ, მათემატიკისა. უჭირთ ბავშვებს მათიათვისება, არც თავისუფალი დრო რჩებათ.

მინისტრი: სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ გადაისინჯოს პროგრამები, რათა შეამსუბუქდეს ბავშვების სასწავლო დატვირთვა. და ამ მიმართულებით დაწყებულია კიდეც მუშაობა. მალე უნდა ველოდეთ შედეგებს.

ვ. მუმლაძე — მეფოლადე: ჩვენ ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი ახალგაზრდები გვყავრდება. სწორად ბრძანა მინისტრმა, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოთ ფიზკულტურას, მაგრამ სპორტული ბაზები რომ არ გვყოფნის? სკოლებსა და საცხოვრებელ მაკორაიონებში მეტი სპორტული მოედნები უნდა მოეწყოს.

ვ. სარალიძე — ელექტროკოსი: მოსწავლეს საშემოდგომო გამოცდას რომ გამოაყოლებენ, ბავშვებსაც უმწარდება საზაფხულო დასვენება და შობლებსაც, ღელავენ, ნერვიულობენ. მე მგონი, მიზანშეწონილია, რომ გამოცდებთან დაკავშირებული ყველა საქმე არდადეგების დაწყებამდე თითქოს დავლეს. რა იქნება, რომ მასწავლებელმა შეიბულებში გასვლამდე დარჩენილი დრო ჩამორჩენილი მოსწავლეების ძიმზადებას მოანდომოს?

პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ს. ამირიძემ სტუმრებსა და მასპინძლებს გაიცნო ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული მდგომარეობა და ის მუშაობა, რომელსაც პარტიის საქალაქო კომიტეტი ეწევა სკოლებში სწავლა-აღზრდის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამასთან დაკავშირებული მრავალი საკითხიოროტი საკითხი ბევჯერ გამხდარა ბიუროს მსჯელობის საგანთო, თქვა მან.

მეტალურგები დიდად კმაყოფილი დარჩენენ ამ საინტერესო შეხვედრით. საუბარი თავისუფალი, გულახდილი და პირდაპირი იყო. იგი ზოგჯერ კითხვა-პასუხის სახეს ეღებდა, ზოგჯერ ცხარე დისკუსიისას, წინადადებებიც გამოთქვეს, რეკომენდაციებიც და შენიშვნებიც. იგრძნობოდა არა მარტო საკითხთა ღრმა დაინტერესება, არამედ მისადმი კვალიფიციური მიდგომის უნარი. ყველას საერთო აზრი და საზრუნავი კი ის იყო, თუ რა უნდა იღონონ და გაკეთონ გაწთლების ორგანოებმა, ოჯახმა — დეღებმა და მამებმა და შრომითმა კოლექტივმა, რომ ჩვენი სკოლები ეპოქისა და ქვეყნის, სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ ადამიანებს, სულიერად და ფიზიკურად სრულყოფილ, იდეურად ნაწრთობ და ინტელექტუალურად მომზადებულ მოქალაქეებს ამზადებდნენ.

სასარგებლო და საჭირო შეხვედრით კმაყოფილი სამინისტროს ხელმძღვანელები სერთო შთაბეჭდილებებს რომ გვიზიარებენ, გვითხრეს: მართლაც, რომ მხოლოდ ასეთი კოლექტივი შეიძლებოდა ყოფილიყო იმ ცნობილი თაოსნობის წამომწყები — არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით, — რომელიც აქ, ამ ქარხანაში, ამ საამქროში იშვა და შემდეგ მთელი რესპუბლიკის მშრომელთა გულსა და გონებას დაეუფლა.

ამ წერილს დასაბეჭდად რომ ვამზადებდით, განათლების სამინისტროდან გვაცნობეს: ელექტრიკოს ვ. სარალიძის რჩევა გთვალისწინებულია. სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით IV-IX კლასების იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც ორზე მეტ საგანში არა აქვთ წლიური არადამაკმაყოფილებელი შეფასება, პირველიდან 22 ივნისამდე მოეწყობა დამატებითი მეცადინეობა, ხოლო 22-23 ივნისს მათთვის გაიმართება გამოცდები. გადაყვანის ან იმავე კლასში დატოვების საკითხი პედაგოგიური საბჭოს დასკვნით სხდომაზე გადაწყდება.

ხ. ხარაზიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ძ. რუსთავი.

სპორტი

ფეხბურთის ამბები

მაინის ფრანკფურტში სსრ კავშირის ნაკრები შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს და დამარცხდა ანგარიშით 0:1 (0:0). გოლი 47-ე წუთზე გაიტანა რიუსანმა.

საბჭოთა კავშირის ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: დეტიაროვი, პრიგოდა, ბუბნოვი, უუსპოკოვი, მახოვიოვი, კოსკოვი, ბურიაკი (მინაევი), ვერემეევი (ბერეზენოი), კოლტოვი, ფიოდოროვი (ჩესნოკოვი), ბლოხინი.

თბილისს „დინამოს“ ფეხბურთელებმა ლესლიძეში მორიგი საკონტროლო მატჩი გამართეს. ამჯერად მათი მეტოქე იყო ალმა-ათის „კაირატი“. დინამოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. ეს ერთადერთი გოლი 70-ე წუთზე გაიტანა ჩივაძემ.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, კოსტავა, ანთაელაძე, ხინჩაგაშვილი, ხიხინაშვილი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, კიპალეიშვილი, გუცაქვი, დარასელია, შენგელია.

დუბლშემადგენლობითი შეხვედრაშიც დინამოელებმა გაიმარჯვეს იმავე ანგარიშით.

ლენინგრადში ეუთაისის „ტორპედომ“ გამართა საკონტროლო მატჩი ოდესის „ჩერნომორეცთან“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ფიგურული ციგურაობა

როდნინა — მეათედ, ვაიცე